



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზერტი

ზერტი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მეჯვრისხევის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯუდის მარცხ. და ტირიფონის არხის მარჯვ. მხარეს, გორი – მეჯვრისხევის საავტ. გზაზე. ზ. დ. 760 მ, გორიდან 19 კმ. 2,7 ათ. მცხ. (2002). ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ზ-ს მდინარე მეჯუდით მორწყულ სოფელთა სიაში მოიხსენიებს. 1398 სოფ. ზ-ის შეწირულობა განუახლდა სვეტიცხოველს. XV ს. 70-იან წლებში ქართლის მეფემ – კონსტანტინემ ზ. იოთამ მაღლანიძეს უბოძა. 1559 სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ზ-ის შეწირულობა. 1616 ქრისტეფორე კათოლიკოსმა ზ. სამოურავოდ გადასცა იესე გაბრიელისშვილს, 1696 კათოლიკოსმა იოანე დიასამიძემ სახლთუხუცეს რევამ მაღალაძეს ზ-ის მოურავობა უბოძა. 1700 ერეკლე I-მა ზ-ში მცხოვრები მამულაშვილები და სხვა გლეხები უბოძა ამილბარ მაღალაძეს. XVIII ს-ში სოფელს ეწერა 26 სახასო მოლაშქრე. 1865 ზ. 72 კომლი ქართველით გორის უბნის ზერტის სასოფლო თემში შედიოდა. სოფლის შუაში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. აგრეთვე სოფლის შუაში დგას XIX ს. ღვთისმშობლის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა. სოფლის სამხრ-ით კი, სასაფლაოზე დგას 1839 წ. გიორგის ეკლესია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია
